საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/133

ქ. ბათუმი 10 ნოემბერი, 2022 წ.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს აკადემიური საბჭოს ა რჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 ოქტომბრის №01-02/242 ბრძანების, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, გიორგი დიასამიძის სამსახურებრივი ბარათისა (MES 5 22 0001417571, 07.11.2022) და ბსუ–ს საარჩევნო კომისიის 2022 წლის 07 ნოემბრის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი №1 ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 03-04 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად ცნობილი იქნეს 2022 წლის 14 ნოემბრიდან 4 წლის ვადით არჩეული აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება, ბსუ-ს ფაკულტეტებიდან და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან არჩეული 10 წევრის შემადგენლობით:

1.1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან - ასოცირებული პროფესორი **პაატა არაშიძე**;

1.2. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტიდან - ასოცირებული პროფესორი **დალი მახარაძე**;

1.3. იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - ასოცირებული პროფესორი **ქეთევან ბერიძე**;

1.4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან - ასოცირებული პროფესორი **ინგა დიასამიძე**;

1.5. ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან - პროფესორი **ენვერ ხალვაში**;

1.6. ტურიზმის ფაკულტეტიდან - პროფესორი **როსტომ ბერიძე**;

1.7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - პროფესორი **მამია ფაღავა**;

1.8. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტიდან - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **მერაბ არძენაძე**;

1.9. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტიდან - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ელზა ფუტკარაძე**;

1.10. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტიდან - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **მარიამ მეტრეველი**.

2. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

3. დადგენილება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, იურიდიულ დეპარტამენტს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**